



საქართველო

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.თბილისი კოსტავას ქ.№1

25 ოქტომბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №324

„უძრავ ქონებაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 ოქტომბრის №318 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 24 ოქტომბრის №882013507208-03 გადაწყვეტილების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „უძრავ ქონებაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 ოქტომბრის №318 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის ქუჩა №127-ში მდებარე საერთოსაცხოვრებელ ბინაში არსებული ბინა №40ბ-ის (საერთო ფართი 46.7 კვმ., ოთახების რაოდენობა 2, მე-7 სართული) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს თანდართული შენობა-ნაგებობის ტექნიკურ პასპორტში მითითებული უძრავ ქონებაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზების მიზნით.“

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თბილისი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე